

საქართველოში მზის ენერჯის გამოყენებისა და განვითარების  
შესაძლებლობა

ლევანი კრავეიშვილი

*ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მენეჯმენტის  
პროგრამის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად*

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ხელმძღვანელი : საბა ჯაჯანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენელი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლევანი კრავიშვილი

22.05.2022

## აბსტრაქტი

ელექტროენერჯის რესურსი ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი რესურსია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შესაბამისად ბაზარზე არის აღნიშნული რესურსის მოთხოვნა. საქართველოს ბაზარზე გვაქვს ელექტროენერჯის რესურსის დეფიციტი, ვინაიდან საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ სწრაფად განვითარებად ქვეყანას და შესაბამისად, ჩნდება აუცილებლობა დამატებითი რესურსების. ელექტროენერჯის დეფიციტითაა გამოწვეული ბიზნეს დანახარჯების ზრდა, ასევე კომუნალურების ზრდა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ხდის არასტაბილურს. შესაბამისად საქართველოს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მოიზიდოს დამატებითი ელექტროენერჯია, განახლებადი ენერჯის, ეგრეთწოდებული მწვანე ენერჯის გამოყენებით. განახლებადი ენერჯის დანერგვა, საქართველოში, გამოიწვევს ბიზნეს სექტორის განვითარებას, რაც თავისთავად ეკონომიკური კუთხითაც აისახება, ასევე გაჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები და შესაძლებელი იქნება ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებობს რამდენიმე ტიპის განახლებადი ენერჯია: ტალღების ენერჯია, ქარის ენერჯია, ბიომასის ენერჯია, მზის ენერჯია, გეოთერმული ენერჯია, წლის ენერჯია კვლევაში შევხებით თითოეულს მაგრამ მეტი ყურადღება დაეთმობა მზის პანელების ელექტროენერჯიას, ვინაიდან ის გამოირჩევა თავისი სიმარტივით და ეფექტურობით. აღნიშნული კვლევის გასამყარებლად განხილულია სხვა ქვეყნის მაგალითები, თუ როგორ შეძლეს მათ მწვანე ენერჯის დანერგვა და რა ეტაპები განვლეს აღნიშნული მიზნის მისაღწევად, და როგორ შეძლეს აღნიშნულით ქვეყნის ეკოლოგიური, ბიზნეს და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. კვლევის გასამყარებლად ჩატარდა, როგორც თვისობრივი ასევე რაოდენობრივი კვლევები, სადაც რაოდენობრივი კვლევა მიმართული იყო იმისკენ, თუ რამდენად საჭიროა განახლებადი ენერჯის დანერგვა საქართველოში, აქვს თუ არა ხალხს იმის ცნობადობა რა არის განახლებადი ენერჯია, რა რფორმებია საქართველოში და რამდენად არის საქართველო აღნიშნული განვითარებისთვის მზად, სადაც აღნიშნული კითხვების სეგმენტად მოიაზრება ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც დაინტერესდა კვლევით, და დააფიქსირა თავისი აზრი აღნიშნულთან დაკავშირებით. რაც შეეხება თვისობრივ კვლევას განხილული იქნება განახლებადი ენერჯის, მზის პანელების, მწარმოებელ და დამმონტაჟებელ კომპანიების ხედვები, რომლებიც რამდენიმე წელია ჩართულნი არიან აღნიშნულ საქმეში და მიმოხილულია, თუ რა ბიზნეს გამოწვევებს ჰქონდა ადგილი და რა ეტაპების განვლა მოუწიათ, რომ ელექტროინდუსტრიის სექტორი განვითარებინათ.